ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7503791

ნომერი: AR11089605

თარიღი : 02.05.2025

გაცემის თარიღი : 04.06.2025

გაცნობის თარიღი : 05.06.2025

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შალვა გოგიძის ქუჩა N1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ კურცხალია პ/ნ 01017013507
- თბილისი გ.რჩეულიშვილის ქ. კორ. 3 ბ. 16

ნომენკლატურა :

- საწყობი
- III კლასი
- მიშენება ან მიშენება - დაშენება
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1.ვინაიდან მიწის ნაკვეთს კვეთს შპს „თბილისი ენერჯი“-ს ხაზობრივი ნაგებობა, საჭიროა წარმოდგენილ იქნას მათი წერილობითი პოზიცია სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით.

2.საპროექტო დოკუმენტაცია ფუნქციური კროკების გადანაწილების ნაწილში შესაბამისობაში მოიყვანეთ ერთმანეთთან. ცხრილში , გენ-გეგმისგან განსხვავებით ფიქსირდება სხვა პროცენტულობა. ასევე ფუნქციური გადანაწილების კროკებზე დაიტანეთ ნიშნულები და წარმოადგინეთ ყველა შენობისთვის.

3.კ-3 კოეფიციენტის საანგარიშო კროკი წარმოადგინეთ საკადასტრო რუკაზე. ასევე კროკთან ერთად გამწვანება დაიტანეთ საპროექტო გენ-გეგმაზე. კ-2 კოეფიცინტის საანგარიშო კროკები წარმოადგინეთ , სათითაოდ საპროექტო შენობების მიხედვით, კროკებზე ასევე დაიტანეთ, გენ-გეგმის შესაბამისი შენობების ნუმერაცია და ნიშნულები.

4.სავიზიტო სურათებზე და ფოტომონტაჟზე ყველა მინაბლოკს მიუთითეთ შესაბამისი დასახელება.

5.იმისთვის რომ სამსახურმა იმსჯელოს წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე სრულყოფილად, წამროსადგენია საპროექტო გენ-გეგმა, რომელიც შესაბამისი იქნება დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან.

6.გეგმაზე 7-1 ფასადისთვის დაიტანეთ საკადასტრო საზვრებამდე მიბმის მანძილები და დაიცავით მიჯნა.

7.სიმაღლის განსაზღვრის სქემა ასევე წარმოდგენილ იქნას უკანა ეზოდან, როგორც ჭრილეზე ასევე გენ-გეგმაზე.

8.წარმოდგენილ იქნას არსებული და საპროექტო გეგმები, სათითაოდ ნიშნულების და შენობების ნუმერაციის მითითებით.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.